პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 118 (10815) | სამშაბათი, 21 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ეწვია ინდონეზიის პარლამენტს

ჯაკარტა, 18 მაისი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა პარლამენტის სპეციალური სხდომა ყველა მისი ფრაქციის მონაწილეობით. სხდომას დაესწრნენ ინდონეზიის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ჯუანდას მეთაურობით, ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

სრულ 10 საათზე დარბაზში შევიდნენ კ. ე. ვოროშილოვი, შ. რ. რაშიდოვი, ვ. პ. ელიუტინი, ნ. ტ. ფედორენკო და დ. ა. ჟუკოვი, რომლებსაც შეეგებნენ პარლამენტის თავმჯდომარე სარტონო და მისი მოადგილეები. შეკრებილნი ფეხზე მდგომნი მიესალმნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

საბჭოთა სტუმრებმა საპატიო ადგილები დაიკავეს.

კ. ე. ვოროშილოვს პარლამენტის წევრთა სახელით მიესალმა პარლამენტის თავმჯდომარე სარტონო, რომელმაც სიხარული და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კ. ე. ვოროშილოვი ეწვია პარლამენტს. მან მადლობა გადაუხადა კ. ე. ვოროშილოვს იმისათვის, რომ იგი დათანხმდა გამოვიდეს პარლამენტის წევრების წინაშე, და რწმენა გამოთქვა, რომ ინდონეზიაში მისი მოგზაურობა [illegible] ლებელი გახდება კიდევ უფრო განმტკიცდეს ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა მშვიდობისათვის საერთო ბრძოლაში.

პარლამენტის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა კ. ე. ვოროშილოვმა, რომელსაც ყველა დამსწრე გულთბილად შეხვდა.

კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ!

პატივცემულო ბატონო პარლამენტის წევრებო!

უწინარეს ყოვლისა მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ პატივი დამდეთ ვილაპარაკო ამ მაღალი ტრიბუნიდან.

ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით იმ მომენტში, როცა ჩვენი ვიზიტი ინდონეზიის რესპუბლიკაში, შთაბეჭდილებებით განსაკუთრებით მდიდარი ვიზიტი, დასასრულს უახლოვდება. ჩვენ, პირველად ვართ რა მშვენიერი ინდონეზიის მიწაწყალზე, დიდად გვასიამოვნა იმ გულითადმა ყურადღებამ და გულთბილობამ, რომელსაც აქ ჩვენდამი იჩენთ. ჩვენ ეს მიგვაჩნია ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად. მხურვალე მისალმებანი, რომლებითაც ჩვენ ყველგან გვხვდებიან თქვენი ქვეყნის მოქალაქეები, — არის მისალმებანი საბჭოთა კავშირის მთელი 200-მილიონიანი ხალხისადმი.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ, მიუხედავად იდეებისა და განვითარების გზების განსხვავებისა, ჩვენს სახელმწიფოებს ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც განამტკიცებს ინდონეზია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

ნებას მივცემ თავს მოვიყვანო ჩვენი მეგობრის — მისი აღმატებულების პრეზიდენტ სუკარნოს სიტყვები, რომელმაც საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მკაფიოდ და ხატოვნად თქვა ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობაზე: „მეგობრებო, განა არსებობს უფრო მახლობელი მეგობრობა, ვიდრე ორი მებრძოლის მეგობრობაა? განა არსებობს უფრო მახლობელი მეგობრობა, ვიდრე არის მეგობრობა ორი ჯარისკაცისა, ორი ადამიანისა, რომლებმაც გამოიარეს ერთნაირი მწუხარება, ერთნაირი განსაცდელი, და რომლებიც მზად არიან სულიც კი არ დაიშურონ ადამიანებისათვის? არა, უფრო მჭიდრო და უფრო მტკიცე მეგობრობა არ არსებობს! სწორედ ამიტომ არის ჩვენი მეგობრობა ასეთი მტკიცე“.

პრეზიდენტმა სუკარნომ ეს მშვენიერი და ბრძნული სიტყვები საბჭოთა კავშირში თქვა. ორივე ჩვენმა ხალხმა ბრძოლის მკაცრი სკოლა განვლო.

საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობისთანავე ჩვენი ხალხების წინაშე განუზომლად ძნელი ამოცანები დაისახა. ჩვენი ქვეყანა ძლიერ დაზარალდა უკვე პირველ მსოფლიო ომში — და მას კვლავ დაემუქრა სასიკვდილო საფრთხე იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ, რომლებმაც ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყეს საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ. იმპერიალიზმის 14 ქვეყანა რამდენიმე წელს ულმობლად აოხრებდა ჩვენს ქვეყანას, ცდილობდა დაემონებინა, თავის მორჩილ კოლონიად გაეხადა იგი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა კავშირმა გადაიტანა ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე.

საერთაშორისო რეაქცია სისხლის მორევს აყენებდა ჩვენს ქვეყანაში და მხოლოდ იმისათვის, რომ საბჭოთა რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მოიშორეს იმპერიალისტური უღელი და შექმნეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. მაგრამ გმირმა საბჭოთა ხალხმა სასტიკ ბრძოლებში დაიცვა თავის მიერ მოპოვებული თავისუფლება, განდევნა მტრები და ააშენა თავის ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება. ახლა საბჭოთა კავშირი მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფოა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის ქვეყანაა. 1957 წელს საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოების საერთო პროდუქცია ოცდაათჯერ და მეტად გაიზარდა 1913 წლის დონესთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობა ყოველდღე იმდენ პროდუქციას უშვებს, რამდენსაც მეფის რუსეთი მთელ თვეს უშვებდა. ამავე წლების განმავლობაში მძიმე მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 50-ჯერ გადიდდა.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებიც გავიზარდეთ ცარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში, აღვიზარდეთ ერების თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის დიად ლენინურ იდეებზე, მახლობელია მეგობარი ინდონეზიის ბედი. ჩვენი ხალხი არა მარტო თანაუგრძნობდა ინდონეზიელ ხალხს, არამედ მხარსაც უჭერდა მის სამართლიან ბრძოლას. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ყოველთვის უჭერდნენ მხარს ინდონეზიის რესპუბლიკის კანონიერ მოთხოვნებს.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძოდა და იბრძვის კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, რომელმაც ჭეშმარიტად სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა მსოფლიო ისტორიაში. კოლონიზატორები ძარცვავდნენ ინდონეზიელ და სხვა დამონებულ ხალხებს, უნგრევდნენ მათ კულტურას და განუმზადებდნენ მილიონობით ადამიანს უუფლებობასა და შიმშილით სიკვდილს, დიდი ხნით შეაჩერეს ჩაგრული ხალხების ეკონომიური განვითარება და მათი ნამდვილი დამოუკიდებლობის მიღწევა. მაგრამ კოლონიზატორებს არ შეეძლოთ შეეჩერებინათ ხალხების უძლეველი მისწრაფება თავისუფლებისა და ბედნიერებისადმი.

ამ უკანასკნელ წლებში ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს ინდონეზიამ, ბირმამ, ცეილონმა და ბევრმა სხვა ქვეყანამ. შორს არ არის ის დრო, როცა აზიისა და აფრიკის ხალხები სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს კოლონიალიზმის მემკვიდრეობას. მაგრამ ამისათვის საჭიროა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მეგობრობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, აგრეთვე თვითეული ხალხის ეროვნული ერთიანობის კონსოლიდაცია.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის ისტორიული კონფერენცია, რომელიც 1955 წლის აპრილში გაიმართა ინდონეზიის მიწაწყალზე, აღმოსავლეთის ქვეყნების მზარდი სოლიდარობისა და საერთაშორისო საკითხთა გადაჭრაში მათი დიდი როლის საუკეთესო დადასტურება იყო.

ჩვენ გულწრფელად მივესალმებით ინდონეზიელი ხალხის მისწრაფებას თავისი ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცებისადმი, რადგან საკუთარი მდიდარი გამოცდილებით ვიცით, რომ მთელი ხალხის მარტო ერთიანობა და სიმტკიცე წარმოადგენს მთლიანად სახელმწიფოს ძლიერების, დამოუკიდებლობისა და განვითარების წარმატებათა საფუძველს.

როგორც პრეზიდენტმა სუკარნომ არაერთგზის სამართლიანად აღნიშნა, ინდონეზიის რესპუბლიკის ერთიანობის განმტკიცება განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თქვენი სამშობლოს განთავისუფლება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ინდონეზიის ტერიტორიის ნაწილი — დასავლეთი ირიანი — ჯერ კიდევ არ არის გაერთიანებული ინდონეზიასთან. მაგრამ როცა ინდონეზიამ დასავლეთ ირიანის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადასცა განსახილველად, კოლონიურმა სახელმწიფოებმა აქაც გამოაჩინეს თავიანთი ნამდვილი სახე. მათ გაილაშქრეს თქვენი სამართლიანი მოთხოვნების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყანაც და სხვა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოებიც.

ჩვენს ქვეყნებს, ძვირფასო მეგობრებო, აახლოებს საერთო მისწრაფება — იცხოვრონ მშვიდობიანად და გაწიონ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. საბჭოთა კავშირი დიდად აფასებს ინდონეზიის რესპუბლიკის წვლილს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ კარგად გვესმის თქვენი ბრძოლა აგრესიული სამხედრო ბლოკების შეკოწიწების წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ ინდონეზიის მთავრობის პოზიციას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხში...

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენი ქვეყანა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ახორციელებს მშვიდობისათვის აქტიური და თანმიმდევრული ბრძოლის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირში მიღებული ერთ-ერთი პირველი კანონი იყო დეკრეტი ზავის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა დიდმა ლენინმა.

ჩვენ გვინდა მშვიდობიანად და მეგობრულად ვიცხოვროთ ყველა ხალხთან. ჩვენ გვინდა გამოვუშვათ მეტი მანქანა მრეწველობისათვის, მეტი ტრაქტორი და კომბაინი სოფლის მეურნეობისათვის, შევქმნათ პროდუქტებისა და სხვა სამომხმარებლო საქონლის სიუხვე საბჭოთა ადამიანებისათვის. მაგრამ ჩვენ გვაიძულებენ ვაწარმოოთ სამხედრო ტექნიკა, მათ შორის აგრეთვე ატომური და წყალბადის იარაღი. საბჭოთა კავშირი არავის არ

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მაღალ დონეზე ავიყვანოთ კინომომსახურება სოფლად

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ მშრომელთა მუდმივად მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, დიდ ყურადღებას აქცევენ კინოს, როგორც ხელოვნების ყველაზე მასობრივი სახეობის, განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ თვითეულ საბჭოთა ადამიანს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი — ქალაქში, მუშათა დაბაში თუ სოფლად, — შეეძლოს რეგულარულად ნახოს კინოფილმები.

კინო მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. იგი დიდ გავლენას ახდენს მოზარდი თაობის აღზრდაზე, საბჭოთა ადამიანებს გამოუმუშავებს მაღალ მხატვრულ გემოვნებას, კეთილშობილურ მორალურ თვისებებს. ამიტომაც კინო ჩვენში დამსახურებულად სარგებლობს ხალხის სიყვარულით.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე განუწყვეტლივ იზრდება კინოსურათების წარმოება, მაღლდება მათი იდეურ-მხატვრული დონე, ფართოვდება კინოქსელი, აგრეთვე კიდევ უფრო უმჯობესდება ტელევიზია. ამასთან ერთად დღითიდღე იზრდება სოფლის მოსახლეობის კულტურა. ჩვენი რესპუბლიკის კინოქსელი, რომელიც ყოველწლიურად წინ მიდის, აფართოებს სოფლის მოსახლეობის კინომომსახურებას. საქართველოს სოფლებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კლუბებში ასობით სტაციონარული და მოძრავი კინოდანადგარი მუშაობს. კინო მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა ფართო მასების კულტურასა და ყოფაცხოვრებაში.

ჩვენს რესპუბლიკაში არის რაიონები, სადაც კინოსურათებს სისტემატურად უჩვენებენ სოფლებში. წლითიწლობით იზრდება კინომაყურებელთა რიცხვი გურჯაანის რაიონში. აქ დაწესებულია და ზუსტად სრულდება საკოლმეურნეო მოძრავი კინოდანადგარების მარშრუტთა გრაფიკი. მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოეწყო 1.680 კინოსეანსი, რომლებსაც დაესწრო 155.769 მაყურებელი. შემოსავლის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 140 პროცენტით.

მაგრამ კინოს — კომუნისტური აღზრდის ამ მძლავრ საშუალებას — ყველა რაიონში მაქსიმალურად როდი იყენებენ. სოფლად კინომომსახურების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ზოგიერთ სოფელში იშვიათად უჩვენებენ მხატვრულ, მეცნიერულ-პოპულარულ ან დოკუმენტალურ ფილმებს. ორჯონიკიძის რაიონის მთელ რიგ სოფლებში მშრომლები თვეობით მოკლებული არიან კინომომსახურებას. კიცხში, ლეღვანში, მარელისში, ჩხერში და მთელ რიგ სხვა სოფლებში იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ იმისათვის, რომ სოფლის მოსახლეობამ რეგულარულად ნახოს კინოფილმები. ასეთივე მდგომარეობაა ლენტეხის რაიონის სოფლებში — ყვედრეში, ხაჩეში, ჭველიერში, ტვიბში, ნაცულში, ზესტაფონის რაიონის სოფლებში — ტაბაკინში, ფუთში, ვაჭევში, წალენჯიხის რაიონის სოფლებში და სხვ. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტალური კინოფილმების ჩვენება. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგან ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ სოფლის მშრომელთა კინომომსახურების გაუმჯობესებას.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ მშრომელთა კინომომსახურებისათვის, მუდმივი კონტროლი გაუწიონ რაიონული და საკოლმეურნეო კლუბების, მოძრავი კინოდანადგარების მუშაობას, მიაღწიონ იმას, რომ ფილმები რაც შეიძლება მეტმა მაყურებელმა ნახოს. კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოთ კინომომსახურება ამჟამად, როცა სოფლად გაჩაღებულია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმების პროპაგანდას, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე ჩვენმა კინემატოგრაფიამ შექმნა ისეთი შესანიშნავი კინოფილმები, როგორიც არის „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „ჩაპაევი“, „ვოლოჩაევკის დღეები“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, „ბალტიკის დეპუტატი“, „ტრილოგია მაქსიმეს შესახებ“, „ამბავი ნამდვილ ადამიანზე“, „დედა“, „ზოია“ და მრავალი სხვა. საბჭოთა კინო ასახავს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს, საბჭოთა ადამიანების გმირულ ბრძოლას კომუნიზმის აშენებისათვის, მშვიდობისათვის. დიდი ოქტომბრის სახელოვანი იუბილესათვის მზადების დღეებში სოფლის მშრომელებს უნდა ვუჩვენოთ საუკეთესო კინოფილმები, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა ადამიანის მამაცობაზე, მის მაღალ მორალურ თვისებებზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, სამშობლოსადმი ჩვენი ხალხის უანგარო სიყვარულზე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველომ და „კინოპროკატის“ რესპუბლიკურმა კანტორამ უნდა გააფართოონ ფილმების ჩვენების პროგრამა და არ დაუშვან, რომ ახალი ფილმები დაგვიანებით იგზავნებოდეს სოფელ ადგილებში. საჭიროა სწრაფად აღმოვფხვრათ სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი პოლიტიკური აქტივობით შეხვდნენ „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე, სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს. მშრომელთა ეს პოლიტიკური აქტივობა წარმართულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის ამოცანების მიღწევისაკენ. კულტურის ფრონტის მუშაკთა საპატიო მოვალეობაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას, კიდევ უფრო გააუმჯობესონ მშრომელთა კულტურული მომსახურება და კერძოდ კინომომსახურება სოფლად.

უნგრეთის უხუცესი კომუნისტების დელეგაცია საქართველოში

კვირას, 19 მაისს, სოჭიდან თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უხუცესი კომუნისტების დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. ჯგუფში შედის 11 კაცი. დელეგაციას მეთაურობს 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაწილე იანოშ ტიიროკი. ჩამოსულთა შორის არიან მუშათა მოძრაობის ვეტერანები იშტვან ვარგა, დიერდ ტოტი, იშტვან კუპა, იმრენე ვანდორი, ლაიოშ პაპი, იანოშ რუსი, ფერენც პაპი, იოჟეფნე კრაუსი, კაროიკე საბო, ლაიოშ გალაში.

დელეგაციის წევრებს ვაგზალში გულთბილი მიღება მოუწყეს. უნგრელ კომუნისტებს შეხვდნენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრები, რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები, თბილისის საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი.

დელეგაციის მეთაურმა იანოშ ტაროიოკმა მხურვალე მადლობა გადაიხადა გულითადი შეხვედრისათვის.

— ჩვენ, — თქვა მან, — გვახარებს, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ვინახულოთ რევოლუციური ბრძოლების ადგილები საქართველოსა და ამიერკავკასიაში, შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უხუცეს წევრებს, გავეცნოთ კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებს.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ქალაქი. მათ დიდი შთაბეჭდილება მიიღეს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკსა და ვაკის ახალ პარკში ყოფნით. მათ დაათვალიერეს თბილისის წყალსაცავი, დაინტერესდნენ სამგორის ველის მორწყვის საკითხებით.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სტუმრების ყურადღება მიიპყრო ძველი ქართული ხელოვნების უნიკალურმა ნაწარმოებებმა. დელეგაციის წევრები დაესწრნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტს.

— მსახიობთა ოსტატობას, — განაცხადა უხუცესმა უნგრელმა კომუნისტმა, უნგრეთის პარლამენტის დეპუტატმა იშტვან ვარგამ, — აღტაცებაში მოვყავართ. ჩვენ დავინახეთ, რა ბრწყინვალედ აყვავებულა ქართველი ხალხის ეროვნული ხელოვნება.

დელეგაციის წევრები იყვნენ რუსთავში ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში. მათ დაათვალიერეს საწარმოს საამქროები, ქალაქი. სტუმრებს ყველგან გულთბილი, მეგობრული მიღება მოუწყეს. უნგრელი კომუნისტების დელეგაცია 20 მაისს მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

დიდი გულითადობის ვითარებაში ჩაიარა სადილმა, რომელიც ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ გამართა დელეგაციის წევრების პატივსაცემად.

გუშინ, 20 მაისს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უხუცესი კომუნისტების დელეგაციის წევრთა ჯგუფი თბილისიდან ბათუმში გაემგზავრა. (საქდესი).

რიგელი მეგობრები თბილისში

ორი ქალაქის — რიგისა და თბილისის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მოძმე ლატვიელი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად იქცა.

კვირას, 19 მაისს, რიგის მშრომელთა დელეგაცია ეწვია თბილისს. ძვირფასი სტუმრების შესახვედრად თბილისის აეროდრომზე შეიკრიბნენ დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

... 17 საათი და 30 წუთია. ჰაერში გაისმის თვითმფრინავის მოტორების გუგუნი. ასობით თვალი მიპყრობილია ვერცხლისფერი მანქანისაკენ, რომელიც ნელ-ნელა ეშვება. თვითმფრინავიდან გადმოდიან რიგის მშრომელთა დელეგაციის წევრები: დელეგაციის ხელმძღვანელი, რიგის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ლეცისი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ე. ბურტნიეკსი, ქ. რიგის პარტიული ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის მდივანი ე. ბაუმანისი, რიგის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ზ. ოსმანისი, ქარხანა „ავტოელექტროპრიბორის“ დირექტორი ი. დომბურგსი, ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. რუბენი, ფაბრიკა „სარკანაის რიტსის“ პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ნ ზახვატალოვა, რიგის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი მ. ჩაკსტე, რესპუბლიკური გაზეთის „ცინიას“ კორესპონდენტი ხ. ვეცვაგარი, „რიგმშენის“ ტრესტის მშენებელთა ბრიგადირი ნ. ჩესნოკოვი.

ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა მოსწავლე ახალგაზრდებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

თბილისის მშრომელთა მიტინგს ხსნის საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე.

რიგის დელეგაციას მიესალმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მელაძე.

— ქალაქის მშრომელთა სახელით, — განაცხადა ამხ. მელაძემ, — მხურვალედ მოგესალმებით ძვირფას სტუმრებს, რიგის მშრომელთა წარმოგზავნილებს. მეგობრის რჩევა კეთილი რჩევაა, და ჩვენც ამას მოველით თქვენგან. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სასურველო სტუმრებო.

მიკროფონთან არის თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ე. ზანგურიძე, რომელმაც თქვა:

— პატივცემულო სტუმრებო! მე ბედნიერება მხვდა წილად თბილისის მოსწავლეთა და პიონერების სახელით მოგესალმოთ ყვავილებითა და სავსე გულით. უფროსო მეგობრებო! მოუთმენლად გელით ჩვენს სკოლებში, სასახლეში, ოჯახებში.

პოეტი იოსებ ნონეშვილი სტუმრებს ლექსით მიესალმა:

დღეს რიგის მკვიდრებს თბილისში გხედავთ,
მიტომ მომწყურდა რიგაზე ლექსიც.
გხვდებათ თბილისი — მშობელი დედა,
ქართველი ხალხის ფუძე და ფესვი.
სალამი თქვენდა, გელოდით ყველა,
წამით მეგობრულ ლხინში ჩამუხლეთ.
ქართველი კაცი გაჰყიდის პერანგს,
ოღონდ კი სტუმარს კარგად დაუხვდეს.
ჩვენთვის წინაპრებს უანდერძიათ,
ჩვენ მათი სიბრძნე აბჯრად გვაცვია,
ვისაც მოყვარე არ უძებნია,
რა ქართველია, რა ვაჟკაცია.
დაე შეჯიბრში რიგელს, თბილისელს
მოგვეცეს მარად ძალა მთებური,
არ დაჭკნეს ჩვენი ძმობის პირიმზე,
ვიყოთ ორივე გამარჯვებული.
ნახეთ ქარხნები, ბაღჩა-ბაღები,
ველზე გაზრდილებს მთები მოგხიბლავთ
და მთაწმინდაზე თუ არ ახვედით,
ვითომ თბილისში არა ყოფილხართ.
ძმებო, იხილეთ მხარე ქებული,
ხეობებს მთების ჯიღა უხდებათ,
შორს მყინვარია ჩაფიქრებული
და გორის ციხე მდგარი ურყევად.
ნახეთ თბილისში ალვების რხევა,
მტკვარი ჩქარი და დაუდუმარი,
დაე ნურასდროს ნუ დაელევა
ჩვენს საქართველოს კარგი სტუმარი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა რიგის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ლეცისმა.

— ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, — ამბობს იგი, — დელეგაციის სახელით უღრმეს მადლობას გიძღვნით ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის აქ, აეროდრომზე. ჩვენთვის სასიხარულო და ამაღელვებელი მოვლენაა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში — მზიური საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჩამოსვლა. მართალია, რიგა ასეული კილომეტრებით არის დაშორებული თბილისს, მაგრამ ჩვენ აქ მოვედით როგორც ახლობელი მეგობრები. ეჭვი არ არის, თბილისსა და რიგას შორის შეჯიბრება ხელს შეუწყობს ორივე ქალაქის მშრომელების მიერ სკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებების პირნათლად შესრულებას. თბილისის მშრომელებს მინდა გადმოგცეთ რიგის მშრომელთა მხურვალე სალამი და შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოპოვების სურვილები.

სიტყვის დასასრულს ამხ. ლეცისმა ქართულ ენაზე შესძახა: გულითადი სალამი თბილისის მშრომელებს რიგის მშრომელებისაგან!

გუშინ რიგის მშრომელთა დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. მჟავანაძემ. შემდეგ რიგელი სტუმრები ეწვივნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ა. მელაძეს.

დღის მეორე ნახევარში რიგელი სტუმრები გაეცნენ თბილისის ზოგიერთი საწარმოს მუშაობას. პირველად ისინი ესტუმრნენ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას. აქ გაიმართა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის დირექტორი ნ. კიზივაძე, მექანიკური საამქროს ხარატი ვ. ბაქრაძე, ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე გ. ზენდუქიძე. სტუმრებს ლატვიურ ენაზე მიესალმა ინჟინერი დ. გრეინი.

რიგის დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ქ. რიგის პარტიული ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ბაუმანისმა.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქარხნის საამქროები, გაეცნენ მათ მუშაობას, ესაუბრნენ მუშებს, ხოლო შემდეგ გაემგზავრნენ თბილისის ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაში, რომლის მუშა-მოსამსახურეებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

ქარხნის უფროსმა ამხ. ვ. გოშარელმა რიგის მშრომელთა წარმომადგენლებს გააცნო საწარმოს ისტორია, შემდეგ კი დაათვალიერებინა ქარხანა. სტუმრებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქარხნის საღამოს სანატორიუმმა.

ლატვიის დედაქალაქის რიგის მშრომელთა დელეგაციის შეხვედრა თბილისის აეროდრომზე. მიკროფონთან სიტყვას ამბობს რიგის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ლეცისი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ეწვია ინდონეზიის პარლამენტს

(დასასრული)

დაესხმის თავს, მაგრამ ვითვალისწინებთ რა წარსულში ჩვენს ქვეყანაზე იმპერიალისტების ავაზაკური თავდასხმების გამოცდილებას, ჩვენ სავსებით მზად უნდა ვიყოთ, რათა სათანადო წინააღმდეგობა გავუწიოთ, თუ აგრესორებმა კიდევ სცადეს გამოიყენონ ძალა ჩვენთან ბრძოლაში. ჩვენ მთელი ხმით ვამბობთ, რომ დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა იმპერიალისტები მონოპოლიურად ფლობდნენ ატომურ იარაღს. ახლანდელ პირობებში აგრესორი შურისგებას ვერ დაემალება დედამიწის ვერცერთ რაიონში.

ამასთანავე საბჭოთა კავშირი გადაჭრით იბრძვის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვისა და განიარაღებისადმი ქმედითი კონტროლის უზრუნველყოფისათვის. სსრ კავშირი ამ მიმართულებით მოითხოვს, რომ პირველი ნაბიჯის სახით დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდა. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სულ ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებულ სესიაზე მიიღო მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტისადმი და მოუწოდა მათ გააადვილონ შეთანხმება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური და წყალბადის ბომბების გამოსაცდელი აფეთქებანი და ამ მიზნით მიიღონ საჭირო ღონისძიებანი.

ჩვენმა ქვეყანამ, როგორც ცნობილია, უკვე შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები 1.840 ათასი კაცით და მნიშვნელოვნად შეამცირა თავდაცვის ხარჯები. საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს იმისათვის, რომ გადაიჭრას განიარაღების პრობლემა და აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი. ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს ის, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის ამოცანები რთული და ძნელია, მაგრამ ომის საფრთხისაგან, დამანგრეველი ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის კეთილშობილური მიზნის მისაღწევად, მთელი კაცობრიობისათვის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველსაყოფად საჭიროა დაუცხრომლად, ბეჯითად ვიმუშაოთ.

პატივცემულო პარლამენტის წევრებო! ჩვენთვის სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე. ჩვენ არა მარტო თანავარსებობთ, არამედ კიდევაც ვმეგობრობთ, და ეს ახალ შესაძლებლობებს ქმნის ჩვენი ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა სსრ კავშირისა და ინდონეზიის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. 1956 წლის აგვისტოში ჯაკარტაში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის პირველი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც დაიდო ურთიერთსარგებლობისა და უმეტესი მფარველობის პრინციპის საფუძველზე. ამავე წლის სექტემბერში სსრ კავშირმა ინდონეზიასთან დადო გენერალური შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური დახმარების შესახებ.

მეგობრობის გაგებასა და განვითარებას ხელს უწყობს პირადი კონტაქტები ინდონეზიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამასთან დაკავშირებით აქვს მისი აღმატებულების პრეზიდენტ სუკარნოს, ინდონეზიის პარლამენტის თავმჯდომარის ბ-ნ სარტონოს, ინდონეზიის პარლამენტისა და მთავრობის ზოგიერთი წევრის ვიზიტებს სსრ კავშირში, რომლებიც შარშან მოეწყო. აზრთა გულახდილმა გაზიარებამ მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემათა შესახებ უეჭველად შეუწყო ხელი ჩვენს თვალსაზრისთა დაახლოებას და გახდა საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საწინდარი.

ვიმყოფებით რა საპასუხო ვიზიტით მეგობრულ ინდონეზიაში, ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს სურთ განავითარონ და განამტკიცონ ურთიერთმეგობრობა, რომელიც შეესაბამება ინდონეზიელი და საბჭოთა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს.

პატივცემულო მეგობრებო, ნება მიბოძეთ დასასრულ ერთხელ კიდევ გიძღვნათ მადლობა ამ სხდომის ყველა დამსწრეს გულთბილი მიღებისათვის და ვუსურვო ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტს წარმატებანი მის კეთილშობილურ სახელმწიფო მოღვაწეობაში თავისი ხალხის ბედნიერების, მშვიდობისა და პროგრესისათვის, აგრეთვე ვუსურვო მთელ ინდონეზიელ ხალხს დიდი წარმატებანი და მთელი რესპუბლიკის აყვავება.

დაე ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს გმირი ინდონეზიის რესპუბლიკა!

დაე განვითარდეს და განმტკიცდეს სსრ კავშირისა და ინდონეზიის ხალხებს შორის მეგობრობა და თანამშრომლობა!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი და სიტყვის დამთავრების შემდეგ პარლამენტის წევრებმა, სტუმრებმა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ოვაცია გაუმართეს კ. ე. ვოროშილოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ჯაკარტიდან გაემგზავრა

ჯაკარტა, 19 მაისი. (საკდესი). დღეს 8 საათსა და 30 წუთზე იავის დროით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა შ. რ. რაშიდოვმა, ვ. პ. ელიუტინმა, ნ. ტ. ფედორენკომ და სხვებმა დატოვეს ინდონეზიის სტუმართმოყვარე ქვეყანა, თან წაიღეს რა ინდონეზიელი ხალხის სალამი და საუკეთესო გულითადი სურვილები საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. ჯაკარტამ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული სტუმრები უაღრესად გულთბილად გააცილა.

დილის 7 საათია. კ. ე. ვოროშილოვი, რომელსაც ახლავს პრეზიდენტი სუკარნო, და სხვა საბჭოთა სტუმრები ტოვებენ ნეგარის სასახლეს, რომელიც კ. ე. ვოროშილოვის რეზიდენცია იყო, და ინდონეზიის დედაქალაქის მოსახლეობის მისალმების შეძახილებში ნელა მიდიან მანქანებით ქალაქის ქუჩებში კემაიორანის აეროპორტისაკენ.

დედაქალაქის მრავალი ათასი მცხოვრებნი, რომლებიც მხოლოდ თორმეტი დღის წინათ განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს, ახლა კვლავ გამოვიდნენ ქუჩებში, რათა გააცილონ იგი როგორც მეგობარი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და ადამიანი, რომელსაც ისინი უკავშირებენ თავიანთ გულწრფელ მისწრაფებებს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისადმი.

აეროპორტი. სსრ კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები, განლაგებული წყვილწყვილად მაღალ ფლაგშტოკებზე, განასახიერებენ ორი ხალხის მეგობრობას, კ. ე. ვოროშილოვის, სუკარნოს მრავალი პორტრეტი, ქსოვილები, რომლებზეც წარწერილია სიტყვები: „ბედნიერი მგზავრობა ვოროშილოვს", „გზა მშვიდობისა, დიდად პატივცემულო სტუმრებო საბჭოთა კავშირიდან", „მხურვალე სალამი საბჭოთა ხალხს ინდონეზიელი ხალხისაგან".

კ. ე. ვოროშილოვის გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ ინდონეზიის სახელმწიფოს ხელმძღვანელები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები: პრემიერ-მინისტრი ჯუანდა, პარლამენტის თავმჯდომარე სარტონო, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ვილოპო, საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო, მთავრობის მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები, ინდონეზიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები — გენერალ მაიორი ნასუტიონი, კონტრ-ადმირალი სუბიაკტო, ავიაციის ვიცე-მარშალი სურიადარმა, უმაღლესი მოსამართლე პროჯატიპურო, გენერალური პროკურორი სუპრაპტო, ქალაქ ჯაკარტის მერი სუდირო, ქალაქ ჯაკარტის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი დახიაგი, ინდონეზიის ელჩი სსრ კავშირში მარამისი და ინდონეზიის სხვა ოფიციალური პირები. კ. ე. ვოროშილოვი გააცილეს სსრ კავშირის ელჩმა ინდონეზიაში დ. ა. ჟუკოვმა, უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა, ინდონეზიაში სსრ კავშირის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლებმა.

აეროდრომზე შეიკრიბნენ მუშათა, გლეხთა, ქალთა, ახალგაზრდობის, სტუდენტთა, ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ბავშვები, რომლებიც ჯერ კიდევ ალიონზე მოვიდნენ აქ ალმებით და ლოზუნგებით.

ახლოვდება გაფრენის დრო. კ. ე. ვოროშილოვი და სუკარნო მიდიან თვითმფრინავ „ტუ-104"-საკენ, რომლითაც სტუმრები მიემგზავრებიან ინდონეზიიდან.

კ. ე. ვოროშილოვი მიკროფონთან ამბობს მგრძნობიარე გულთბილ სიტყვას.

კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, ბ-ნო პრეზიდენტო, და ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

ბატონებო!

ძვირფასო მეგობრებო!

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ დავტოვებთ მეგობრული ინდონეზიის სახელოვან დედაქალაქს.

ვტოვებ რა თქვენს შესანიშნავ ქვეყანას, ვეთხოვები რა ჩვენს ძველსა და ახალ მეგობრებს, ერთხელ კიდევ გამოვთქვამ ჩემი და ჩემი თანმხლები ამხანაგების სახელით დიდ მადლობას თქვენდამი, პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო, დოქტორო სუკარნო, ინდონეზიის მთავრობისა და მთელი დიდი ინდონეზიელი ხალხისადმი ყოველივე იმ კეთილი და კარგისათვის, რაც ჩვენთვის გაკეთდა ინდონეზიაში ჩვენი ყოფნის დროს, დიდებული მეგობრული მიღებისათვის.

ჩემთვის ადვილი როდი იყო შორი გზა მატერიკებზე და ოკეანეებში, რათა თქვენთან ჩამოვსულიყავი საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და მისალმების სიტყვებით. მაგრამ ეს გზა რომ ერთიორად, უფრო გრძელი იყოს, უყოყმანოდ გავიმეორებდი კვლავ, იმიტომ რომ ეს იქნება გამგზავრება მეგობრებთან, გამგზავრება გმირ შრომისმოყვარე ხალხთან, რომელიც გამსჭვალულია მისწრაფებით დაიცვას მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ჩვენი მოგზაურობის დროს ვნახეთ ინდონეზიის ბევრი ქალაქი და დასახლებული პუნქტი. ვნახეთ თქვენი ქვეყნის წარსული — ძველი კულტურის დაუვიწყარი ძეგლები, რომლებიც დიდი ხალხის შემოქმედებითმა გენიამ შექმნა. ვნახეთ თქვენი ქვეყნის აწმყო — ქალაქები და სასოფლო რაიონები, მშრომელები, რომლებიც ჩაბმული არიან მშვიდობიან შრომაში თავიანთი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ვნახეთ თქვენი ქვეყნის ხვალინდელი დღეც — ახალგაზრდობა და ბავშვები. ახალგაზრდა თაობა ინდონეზიის ძვირფასი ეროვნული კუთვნილებაა. სწორედ ინდონეზიელმა ახალგაზრდობამ უნდა იშრომოს ბევრი თავისი სამშობლოს პროგრესისა და დიადი მომავლისათვის.

ძნელია რამდენიმე სიტყვით გამოვთქვა ყველა ის შთაბეჭდილება, რომლებიც ჩვენ დაგვიგროვდა, ძნელია სიტყვით გადმოვცეთ ცხოვრების ის ფერადები და ცოცხალი ფეთქვა, რომლებიც ჩვენ ვიგრძენით თქვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს. მაგრამ თუ ინდონეზიის თანამედროვე ცხოვრების მთელი ამ მრავალფეროვანებიდან შევარჩევთ მთავარს და გამოვთქვამთ სიტყვებით, მაშინ უნდა ვთქვა, რომ ინდონეზიელი ხალხი მოძრაობაშია, ალსავსეა ენერგიით, უყვარს თავისი სამშობლო და მზად არის ბოლომდე დაიცვას თავისი რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელიც მოპოვებულია მძიმე მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად.

სადაც უნდა ვყოფილიყავით, მუდამ გვესმოდა ბევრი კარგი, გულითადი სიტყვა ჩვენი ხალხების მეგობრობის შესახებ. ეს სავსებით გასაგებია. ჩვენი ხალხებისა და ჩვენი ქვეყნების მეგობრობა ხომ არასოდეს არ დაუჩრდილავს მტრობასა და უნდობლობას. დარწმუნებული ვართ, რომ ეს არასოდეს არ იქნება მომავალშიც, რომ საბჭოთა და ინდონეზიელი ხალხების მეგობრობა გაიზრდება და განმტკიცდება, სამარადისო და ურღვევი იქნება.

გეთხოვებით რა, მინდა გისურვოთ თქვენ, ძვირფასო პრეზიდენტო, ჩემო დიდად პატივცემულო მეგობარო, ჯანმრთელობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა ინდონეზიელი ხალხის საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ!

ვუსურვებ ინდონეზიელ ხალხს მშვიდობიან შრომას, კარგ თანხმობასა და ბედნიერებას!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ ინდონეზიის რესპუბლიკას!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობა!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას მეგობარს, მის აღმატებულებას პრეზიდენტ სუკარნოს!

სალამათ ტინგალ, სუდარა-სუდარა! (ნახვამდის, მეგობრებო!) (ტაში).

კ. ე. ვოროშილოვის მიერ წარმოთქმულ გამარჯვებისა და საბოლოო სიტყვებს ხვდებიან სასიხარულო მოწონებით და ერთსულოვანი შეძახილებით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს ვოროშილოვს!" დამსწრეები მქუხარედ უკრავენ ტაშს.

შემდეგ პრეზიდენტმა სუკარნომ მიკროფონთან წარმოთქვა სიტყვა, რამაც დამსწრეთა ცოცხალი გამოხმაურება და მოწონება გამოიწვია.

სუკარნოს სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, ჩვენო მამავ და მეგობარო ვოროშილოვ!

ორი კვირის წინათ აქ ვამბობდი: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ახლა მოგახსენებთ: კეთილი იყოს თქვენი მგზავრობა. ამ სიტყვებს მსურს დავძინო უაღრესად საუკეთესო სურვილები, საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის კეთილდღეობის სურვილი, თქვენი ქვეყნის განუწყვეტელი განვითარების სურვილი, ჩვენი ხალხების ბრძოლის სიდიადის სურვილი.

მინდა აგრეთვე ამას დავძინო ჩემი პირადი სურვილები და ბოდიში, თუ ინდონეზიაში თქვენი მიღების დროს იყო ნაკლოვანებანი და უყურადღებობა. ჩვენ ვცდილობდით ყველაფერი ისე მოგვეწყო, რომ უკეთ გამოგვეთქვა მეგობრობისა და ძმობის გრძნობები, რომლებითაც ინდონეზიელი ხალხი გამსჭვალულია საბჭოთა კავშირისადმი. ეს გრძნობები წარმოდგება სიყვარულისაგან, ერთიანი მისწრაფებისაგან, იმისაგან, რომ წარსულში ერთნაირი ტანჯვა და მწუხარება გამოვიარეთ.

არის ერთი რამ, რომელიც ჩვენ ვერ შევცვალეთ, რომ თქვენი ყოფნა ჩვენში ყველაზე სასიამოვნო ყოფილიყო. მე ვლაპარაკობ ჰავაზე. თქვენ ცხოვრობთ ცივ ჰავაში, ჩვენ კი — თბილში. ჩვენ არ შეგვეძლო შეგვეცვალა ჰავა, რომ თქვენ ფიზიკურად კარგად გეგრძნოთ თავი. ჰავა ჩვენ ვერ შევცვალეთ. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი რამ, რომელიც უცვლელია — ეს არის ჩვენი ურთიერთობა. მერწმუნეთ, ჩვენი ურთიერთობა მუდამ უცვლელი იქნება. თქვენ სხვა ქვეყნიდან ჩამობრძანდით. სამშობლოში დაბრუნდებით მძლავრი თვითმფრინავით „ტუ-104". თქვენი მრეწველობის მაღალი განვითარების მეოხებით შეგიძლიათ თქვენს სამშობლოს 16 საათში მიაღწიოთ. მომავალში შეიქმნება კიდევ უფრო მძლავრი თვითმფრინავები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ეს მანძილი კიდევ რამდენიმე საათით შემცირდეს. მაგრამ კიდევ უფრო ძლიერია, უფრო სწრაფია, ვიდრე თვითმფრინავის ფრენა, ადამიანის ფიქრის, სულიერი მისწრაფების ფრენა. ეს კიდევ უფრო მოკლეს ხდის მანძილს ჩვენს ქვეყნებს შორის.

ჩვენი ფიქრები ყოველ საათში, ყოველ წუთში მიპყრობილია საბჭოთა კავშირისადმი, და ჩვენ მუდამ საბჭოთა კავშირთან ვართ! კეთილი მგზავრობა, ჩვენო მეგობარო ვოროშილოვ. კეთილი მგზავრობა ყველას, ვინც თქვენ გახლავს. კეთილი მგზავრობა! იგრძნეთ თავი ისე, თითქოს ინდონეზიელი ხალხის სიყვარულის ფრთებით მიფრინავთ. გისურვებთ თქვენ ჯანმრთელობას, ვუსურვებთ კეთილდღეობას საბჭოთა ხალხს, აგრეთვე ვისურვებთ, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხებს შორის მეგობრობა იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს მომავალში. და ვინ იცის, იქნებ მომავალში ერთხელ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. ნახვამდის, ნახვამდის, ნახვამდის. (ეს სიტყვები პრეზიდენტმა სუკარნომ რუსულად წარმოთქვა).

კ. ე. ვოროშილოვმა და სუკარნომ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის: ქვეითების, მეზღვაურებისა და მფრინავების მწყობრ რიგებს. ჟღერს სსრ კავშირისა და ინდონეზიის სახელმწიფო ჰიმნების საზეიმო მელოდიები. კ. ე. ვოროშილოვი გულითადად ეთხოვება პრემიერ-მინისტრს ჯუანდას, პარლამენტის თავმჯდომარეს სარტონოს, საგარეო საქმეთა მინისტრს სუბანდრიოსა და სხვა პირებს. გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. კ. ე. ვოროშილოვი და პრეზიდენტი სუკარნო მაგრად და მრავალგზის ეხვევიან ერთმანეთს. სუკარნო გულთბილად ეთხოვება შ. რ. რაშიდოვს, ვ. პ. ელიუტინს, ნ. ტ. ფედორენკოს. კ. ე. ვოროშილოვს ყვავილები მიართვეს. როგორც კი კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანამგზავრები თვითმფრინავზე ავიდნენ, გაისმა ერთა სალუტის ქვემეხთა 21 ზალპი კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად.

8 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი ჰაერში ადის და კურსს ჩრდილოეთისაკენ იღებს.

კემაიორანის აეროპორტში გაცილებით დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მეგობრული ვიზიტი ინდონეზიაში, რამაც განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა. ამ ვიზიტმა უფრო მეტად შეუწყო ხელი ორი ქვეყნის — სსრ კავშირისა და ინდონეზიის მეგობრულ დაახლოებას და მათი თანამშრომლობის განმტკიცებას მშვიდობისმოყვარე ხალხთა საერთო ინტერესებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა სანიმუშო კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა საკითხი „ქალაქის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ფართო პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა აქტივმა.

მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ.** იგი ლაპარაკობს ახალ დიდ შრომით და პოლიტიკურ აღმავლობაზე საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში. თბილისის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებს, აქტიურად მონაწილეობენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი საქმიანობა მიმართულია საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი აღმავლობისაკენ. ეს ნათლად ჩანს საქართველოს დედაქალაქის მაგალითზეც. უკანასკნელ წლებში ქალაქში ფართო მასშტაბით გაიშალა საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. მაგალითად, გასულ წელს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 82.640 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გარდა ამისა, მშრომელთა ძალებით აგებულია 260 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის დახარჯულია 21 მილიონ მანეთზე მეტი. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 100 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ქუჩების, მოედნების, პარკების კეთილმოწყობისათვის.

მომხსენებელმა ჩამოთვალა სხვა ღონისძიებებიც, რომლებიც უკანასკნელ ხანს განხორციელდა თბილისის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების დარგში. ამასთან ერთად მოხსენებაში და შემდგომ გამართულ კამათში მთავარი ყურადღება მიექცა მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნის სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. თბილისის მშრომელებსა და ლატვიის დედაქალაქის რიგის მშრომელებს შორის დაწყებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ სამსახური უნდა გაუწიოს ჩვენი ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესების საქმეს.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საბინაო მშენებლობას. იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად ხორციელდება მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა, საქართველოს დედაქალაქში შეიქმნება ერთიანი მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია — თბილისის მშენებლობის მთავარი სამმართველო. მაგრამ, როგორც ჩანს, რეორგანიზაციის მოლოდინში მშენებლებმა წელს ძლიერ შეასუსტეს ტემპები. სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები სერიოზულად უნდა იქნან გაფრთხილებულნი: არ შეიძლება დაშვებულ იქნას საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის არავითარი დარღვევა!

დამაბული მდგომარეობა შეიქმნა საქალაქო მეურნეობის ისეთ დიდმნიშვნელოვან უბანზე, როგორიც არის წყალმომარაგება. წყლის ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ზაფხულის თვეებში. თბილისის წყალსადენის უფროსი ამხ. შარაშენიძე სრულიად არასაკმაოდ ებრძვის წყლის უსარგებლოდ დაკარგვას, რაც დიდ ციფრს — 10 პროცენტს აღწევს. აღმაშფოთებელია შემთხვევა, რომელიც მოხდა რიყინაშვილის ქუჩაზე, სადაც მილსადენის დაზიანების გამო წლის განმავლობაში დღეღამეში იკარგებოდა 600 კუბმეტრამდე სასმელი წყალი.

ბევრად უნდა გაძლიერდეს ქუჩების კეთილმოწყობის ტემპები. არ შეიძლება ვურიგდებოდეთ ისეთ ფაქტებს, როცა, მაგალითად, ოდესის, პიონერის, ლვოვის და მთელი რიგი სხვა ქუჩების კეთილმოწყობა 2-3 წელს გაჭიანურდა. ქალაქში ყოველწლიურად ირგვება ათასობით ხე, მაგრამ მათი ნაწილი, ცუდი მოვლის გამო, ილუპება. მაგალითად, „ბურევესტნიკის" სტადიონის ყოფილი დირექტორის ამხ. არჩვაძის უპასუხისმგებლობას შედეგად მოყვა ის, რომ აქ დაიღუპა ელდარის ფიჭვის 249 ნერგი და ბევრი დეკორაციული და მარადმწვანე ბუჩქი. წელს დაირგო 400 ათასამდე ხე და ბუჩქი. საჭიროა დავრაზმოთ ქალაქის მთელი მოსახლეობა თვითეული ხის, თვითეული ბუჩქის შენარჩუნებისათვის საბრძოლველად, ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ საქართველოს დედაქალაქის თვითეული კუთხის შემდგომი გამწვანების სამუშაოები.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობაზე. მიუხედავად ვაგონებისა და მანქანების პარკის ზრდისა და ახალი ხაზების გაყვანისა, მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებაში ჯერ კიდევ მაინც ბევრი ნაკლია. მშრომელნი სამართლიანად აღნიშნავენ ავტობუსების მოძრაობის გრაფიკის ხშირ დარღვევას, დაბალ დისციპლინას მძღოლთა შემადგენლობაში. სავსებით სამართლიანია მშრომელთა სამდურავები აგრეთვე აბანო-სამრეცხაო მეურნეობის ცუდი მუშაობის გამო.

ქალაქში შექმნილია საყოფაცხოვრებო მომსახურების 8 კომბინატი. ეს სრულებით არ კმარა; თანაც კომბინატები არათანაბრად არის განლაგებული და მოთავსებულია კეთილმოუწყობელ შენობებში. მთავარი კი ის არის, რომ ისინი ძალიან შორს დგანან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა ნამდვილი მომსახურებისაგან.

წესრიგი არ არის დამყარებული საპარიკმახეროებშიც. დღემდე გრძელდება სანიტარიის დარღვევა, მიმსვლელებთან უხეში მოპყრობა და ისეთი სამარცხვინო მოვლენა, როგორიც არის კლიენტებისათვის ზედმეტის გადახდევინება.

მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მოსახლეობისათვის საჭირო სამრეწველო და სასურსათო საქონლის ხარისხის ამაღლებას და ასორტიმენტის გაფართოებას. სერიოზული გაუმჯობესება ესაჭიროება პურის ცხობის ხარისხს. სამართლიანია მშრომელთა პრეტენზიები აგრეთვე სამკერვალო ნაკეთობათა ხარისხის მიმართ. სრულიად შეუწყნარებელია ის, რომ არ არსებობს საბავშვო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო სპეციალიზებული საწარმოები და არტელები.

პლენუმზე გაშუქებული იყო მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ისეთი უბნების მუშაობაც, როგორიც არის საკურნალო დაწესებულებები, კინო, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კლუბები, ბაღები და პარკები. ყურადსაღები წამოწყებით გამოვიდა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ქალაქის მშრომელებს მოუწოდა ყველგან დაამყარონ სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი. საქართველოს დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი და გულმოდგინე მუშაობა უნდა გაწიონ მშრომელთა კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მოხსენების გამო კამათში გამოსულმა პარტიის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. **ვ. სირაძემ** აღნიშნა, რომ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ამ ბოლო დროს უფრო კონკრეტულად მუშაობენ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თბილისის უძველეს კუთხეში — კიროვის რაიონში — გაწეულია დიდი მუშაობა კეთილმოწყობის დარგში, მაგრამ საჭიროა ამ მუშაობის ტემპები კიდევ უფრო გაძლიერდეს.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრ დიდ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო თავის გამოსვლაში კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი ამხ. **პ. ზუბრიცკი.** გამოთქვამენ რა კანონიერ სიამაყეს რაიონის მშენებლობასა და კეთილმოწყობაში მიღწეული დიდი წარმატებების გამო, მშრომელები ამავე დროს აღნიშნავენ სერიოზულ ნაკლოვანებებს მოსახლეობის მომსახურებაში. ამხ. ზუბრიცკი მოითხოვს დამყარდეს წესრიგი ბაზრებზე, სადაც ძალიან ხშირად სპეკულანტები და გადამყიდველები მოქმედებენ. იგი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა ლენინის სახელობის რაიონის პარკში შეიქმნას საქართველოს ფილარმონიის ფილიალი.

ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ზეინკალმა ამხ. **ი. გელაშვილმა** ილაპარაკა იმაზე, რომ აუცილებელია უფრო ფართოდ გაიშალოს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, მეტი დახმარება გაეწიოთ მენაშენეებს. მან აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებები სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში, რაც ქარხნის სასადილოს მაგალითითაც ჩანს.

თბილისის უნივერსალური ვაჭრობის № 1 სამკერვალო ატელიეს მუშაკმა ამხ. **ს. გუკასიანმა** აღიარა, რომ დამკვეთლების მომსახურებაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ამავე დროს აღნიშნა, რომ საჭიროა მეტი დახმარება გაეწიოთ სამკერვალო ატელიეებს, მიაწოდოთ მათ ფართო ასორტიმენტის ქსოვილები სეზონის მიხედვით და მაღალხარისხოვანი ფურნიტურა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში საქონელბრუნვის 4 თვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, სავაჭრო ორგანიზაციებს კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზი აქვთ მუშაობაში. მათ შესახებ ილაპარაკა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ამხ. **ი. გეტაშვილმა.**

№ 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. **ტ. კობიძემ** აღნიშნა, რომ აუცილებელია კეთილმოეწყობილ იქნას ფაბრიკის ახლომდებარე ტერიტორია.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა ამხ. **თ. დავითაშვილმა** ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უკანასკნელ ხანს განხორციელდა თბილისში სამგზავრო ავტოტრანსპორტის განვითარებისათვის. მაგალითად, თბილისში ამჟამად ავტობუსებს ყოველდღე გადაჰყავთ 200 ათასზე მეტი მგზავრი, ტაქსების პარკი გაიზარდა 500 მანქანამდე, გაყვანილია ახალი მარშრუტები. ამავე დროს მშრომელები სწორად მიუთითებენ ბევრ ნაკლზე სამგზავრო ავტოტრანსპორტის მუშაობაში.

კალინინის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **შ. ტიტვინიძემ** დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა ძველი საცხოვრებელი სახლების კაპიტალურად შეკეთებისათვის.

№ 8 აბანოს დირექტორმა ამხ. **ლ. დოლიძემ** აღნიშნა, რომ საჭიროა ქალაქის ძველი აბანოების გაფართოება და რეკონსტრუქცია.

ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ვ. ჯანჯღავამ** გააკრიტიკა თელასი და საგზაო მშენებლობის სამმართველო რაიონის მოსახლეობის საჭიროებებისადმი არასაკმაო ყურადღებისათვის.

საქართველოს სარეწაო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ჟორჟიკაშვილმა** ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება სარეწაო არტელების მუშაობის გასაძლიერებლად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

კომუნალური მეურნეობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ა. ლაბაძემ** აღნიშნა, რომ საჭიროა ქალაქის სანიტარული დასუფთავება ერთ ხელში მოექცეს და გაძლიერდეს სამუშაოთა ამ უბნის ტექნიკური აღჭურვილობა.

თავის გამოსვლაში პლენუმზე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ა. მელაძემ** აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ლატვიის დედაქალაქების მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას. მან ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, იმაზე, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოებს, განყოფილებებსა და ტრესტებს ჯერ კიდევ სათანადოდ არ გარდაუქმნიათ მუშაობა. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის თაოსნობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქში სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის ბრძოლას. მაგრამ ანტისანიტარიის ფაქტები ჯერ კიდევ ბევრია. სულ ამ მოკლე ხნის წინათ დაიწყო თავისი საზაფხულო სეზონი რესტორანმა ფუნიკულიორის პლატოზე, მაგრამ მისი სათავსები უკვე დანაგვიანებულია. ვაკეში პარკის გახსნიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ მის ხეივნებში ნახავდით მიყრილ-მოყრილ ნამწვებს, გაზეთების ნაგლეჯებს, მზესუმზირას ჩენჩოს. ამგვარი მოვლენები ყოვლად შეუწყნარებელია, მათ წინააღმდეგ ქალაქის მთელი მოსახლეობა უნდა ამხედრდეს.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ამხ. **ვ. ქიაურელმა** ილაპარაკა ქალაქის კინოქსელის განვითარებაზე. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მწყობრში ჩადგა მთელი რიგი კინოთეატრები, შენდება და დაჩქარებულად მზადდება ახალი კინოთეატრები, მათ შორის პირველი ფართოეკრანიანი კინოთეატრი „ამირანი". ამასთან ერთად ქალაქის ცალკეული რაიონები განიცდიან კინოთეატრების ნაკლებობას და აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი შექმნა იმ სახლების პირველ სართულებზე, რომლებიც ახლა შენდება.

* * *

პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება განხილულ საკითხზე.

ახლა მთავარია ნათესების მოვლა

ერთი დღე ძარწემის მინდვრებზე

ვიდრე ჯავის ხეობის ვიწროებს მიადგებოდე, სოფელ კეხვთან მქუხარე ლიახვზე გადებულ ხიდს გადახვალ და სოფელ ძარწემის მინდვრებს გადახედავ. ჟუჟუნა წვიმის შემდეგ აყვავებულა, ათასფრად მოხატულა ველ-მინდვრები. აქ ჯეჯილია აბიბინებული, უფრო შორს მოჩანს რიგებად ჩამწკრივებული ვენახები, სიმინდისა და შაქრის ჭარხლის ნათესები, ლამაზად გაკეთებული ბოსტნეულის კვლები.

მზე უხვად აცხუნებს სოფლის მიდამოებს. „სოციალისტური შრომა" — ასე უწოდებენ ამ კოლმეურნეობას რაიონში. დიახ, ძარწემში უყვართ შრომა, გარჯა, საერთო საქმეზე ზრუნვა. და ახლა, როცა მოსავლის ბედი წყდება, სოფლის მკვიდრნი მინდვრად გამოსულან, გზები თუ მინდვრები ახმიანებულია. სოფელი მდინარის მარცხენა ნაპირის ფერდობზეა შეფენილი. ძარწემის მამული სოფლიდან იშლება და ლიახვის სანაპიროებისაკენ მიიწევს. საკოლმეურნეო კანტორიდან ხელისგულივით ჩანს არტელის საწარმოო უბნები, სახნავ-სათესი, ვენახი — ყველაფერი, რაც კი საზოგადოებრივ მეურნეობას აქვს.

შორიდანვე შევამჩნევ მინდვრებში მოფუსფუსე ადამიანთა ჯგუფებს. სოფლის გზებზე მინდვრებისაკენ ჭრიალით მიემართებიან მინერალური სასუქით დატვირთული ურმები.

— წავიდეთ, თქვენი თვალით ნახეთ მინდორი, — შემოგვთავაზა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლევან გუნდიშვილმა, რომლის სახეზე სიამაყის, კმაყოფილების გრძნობა იხატებოდა. თავმჯდომარის ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა, რომ კოლმეურნეობაში ცუდად არ არის საქმე.

მინდორში წასვლის სურვილი გამოთქვა აგრეთვე საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანმა დ. მეტრეველმა. ეს ყოველთვის ასეა, როცა საქმის იმედი გაქვს, სტუმარიც საყვარელია, გულიც ახდილი და მგრძნობიარე.

სოფლის ბოლოს კოლმეურნე ქალები მ. და დ. მეტრეველები, ფ. გაზაევა და ნ. მამიევა ჯეჯილიდან ამოგლეჯილ სარეველებს გზაზე ეზიდებოდნენ. ბრიგადები, რგოლები ნათესებს ასუფთავებდნენ, სასუქები შეჰქონდათ.

აქ არიან სოფლის წარჩინებული ადამიანები, ისინი, ვინც მოსავალს ზრდის და არტელის სიმდიდრეს ამრავლებს. აქ არის რაიონში სახელმოხვეჭილი ბრიგადირი ასატო გოგიძე, რომელსაც არაერთხელ მიუღია ჰექტარზე 20-30 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი. მზით გარუჯული ბრიგადირი ხან ერთ ნაკვეთს მიაშურებს, ხან მეორეს, ათვალიერებს, რომ ჯეჯილში სარეველა არ დარჩეს. ვალდებულების მიხედვით არტელმა წელს ჰექტარზე 18 ცენტნერი ხორბალი უნდა მიიღოს. ასატოს ბრიგადა კი მოწინავეა სოფელში, მაშასადამე, მისგან უფრო მეტს მოითხოვენ.

— შემოდგომის ჯეჯილი აქ 150 ჰექტარზეა. დღეს ვამთავრებთ გამარგვლას და მინერალური სასუქებით მეორედ გამოკვებას. დროულად ჩავატარეთ ალმონაცენის დაზიგზაგება. ამ საქმეზე კარგად იმუშავეს სტალინირის მტს-ის მექანიზატორებმა.

კოლმეურნეობის ვენახს მივადექით. ზემოთ, ფერდობზე, სიმინდი უთესიათ, ხოლო ქვემოთ — შაქრის ჭარხალი. ძარწემელთა ვენახი დიდი არ არის — მას სულ 18 ჰექტარი უკავია. მაგრამ სოფლის მკვიდრნი მას მაინც არტელის სიამაყედ თვლიან, რადგან ვენახი ყოველწლიურად დიდ შემოსავალს იძლევა.

შპალერზე ლამაზად გაკრულ ვაზებს მტევნები უხვად მოუსხამს, მოამაგე ხელი ეტყობა თვითეულ ძირს; რიგები დაბარულია, ნიადაგი გაფხვიერებული, სასუქი შეტანილი. ერთი სიტყვით, ვენახში ყველაფერი რიგზეა. მიუხედავად ამისა, ბრიგადირი ზ. მეტრეველი თავს დასტრიალებს ვენახს.

იქვე შაქრის ჭარხლის პლანტაციას კოლმეურნეთა ჯგუფები შესევია. — ახლა მთავარია პლანტაციის რიგთა შორის გაფხვიერება, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ორი დღეა ამ საქმეს შევუდექით. ეს სამუშაო სულ მალე დამთავრდება, და გამოხშირვას დავიწყებთ. 20 ჰექტარი შაქრის ჭარხალი კარგად გამოიყურება.

გავხედეთ სიმინდის ნათესებს. იქ ხალხი ვერ შევნიშნეთ და გაგვიკვირდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიგვიხვდა და სიმინდის ნათესებისაკენ წაგვიყვანა, თან გვიყვებოდა, რომ სასიმინდედ საუკეთესო ნაკვეთი შეარჩიეს, აგროტექნიკური მოთხოვნების მიხედვით დაამუშავეს და დათესეს. სიმინდი მწკრივად დაუთესავთ, რადგან რელიეფის გამო მექანიზმები ვერ შეძლებდნენ აქ კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვას.

სულ მალე ძარწემელები თოხნას შეუდგებიან. აქ სიმინდი 75 ჰექტარზე უთესიათ. კოლმეურნეები ყურადღებით ეკიდებიან ამ ძვირფას კულტურას.

პატარა სოფელი ძარწემი გულმოდგინედ შრომობს. კოლმეურნეები იბრძვიან წელს მაღალი მოსავლის მოყვანისათვის.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ჩინეთიდან მიღებული ჯილდო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექიმი ს. აბრამიშვილი ნახევარ წელიწადს მუშაობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინძიანის პროვინციის ქალაქ კულჯაში. იგი სხვა საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ახორციელებდა ქალაქისა და ახლომახლო სოფლების მოსახლეობაში. იგი აგრეთვე მონაწილეობდა ადგილობრივი სამედიცინო კადრების მომზადებაში.

ამას წინათ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ს. აბრამიშვილს გადაეცა მედალი „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა" და მოწმობა, რომ მას მიენიჭა მედალი. მოწმობას ხელს აწერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ამხანაგი ჯოუ ენ-ლაი.

მოწმობაში ნათქვამია:

„ამხანაგ სოფიო ალექსის ასულ აბრამიშვილს!

ნიშნად მადლობისა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი თქვენი უანგარო და ენთუზიაზმით აღსავსე დახმარებისათვის გადმოგცემთ „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის" მედალს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი
ჯოუ ენ-ლაი".
(საქპრესი).

მოდიან ფარები

ქ. ორჯონიკიძე, 20 მაისი. (ტელეფონით, სპეც. კორ.). შორეული ტრასით მოემართება საქართველოს კოლმეურნეობათა ცხვარი მშობლიური მთებისაკენ. ცხვრის უზარმაზარი ლაშქარი ამჟამად გაჭიმულია 400 კილომეტრზე — ბაჯიგნიდან დარიალამდე. გადმორეკვა დაიწყო 10 მაისს ახალხევის გზით. პირველი დაიძრნენ ახმეტის რაიონის მწყემსები, რომლებმაც წელს წარმატება მოიპოვეს მატყლის მიღებისა და ნამატის შენარჩუნების საქმეში. მათ ყოველ 100 სულ დედაცხვარზე მოჰყავთ 96 ჯანსაღი ბატკანი. საგაზაფხულო პარსვისას თვითეულ ცხვარზე 2 კილოგრამზე მეტი მატყლია მიღებული.

ასეთივე წარმატებები აქვს ლენინგორის, დუშეთის, ყაზბეგისა და სხვა რაიონების ზოგიერთ ფერმას.

გადარეკვის პირველ დღეებში ამინდმა გააძნელა მგზავრობა, ნოღაის ველის მთელ სივრცეზე ძლიერი ცხელი ქარი ქროდა. განსაკუთრებით გაუჭირდათ მერვე საბჭოთა მეურნეობიდან სტანიცა იშჩორსკაიამდე, სადაც საკმარისი წყალი არ არის. მაგრამ, ავტოცისტერნების საშუალებით ცხვრებს თავის დროზე არწყულებდნენ.

აღსანიშნავია, რომ გზაში მყოფ მწყემსებთან არავითარი კულტურულ-მასობრივი მუშაობა არ წარმოებს, არ არის ჟურნალ-გაზეთები, არ უჩვენებენ კინოფილმებს. ცეკავშირის საცალო ვაჭრობას გადარეკვის პირველ დღეებში მოწყობილი არ ჰქონდა დატარებითი ვაჭრობა. ამას გარდა ბევრ ფერმას აკლია ტრანსპორტის საშუალებანი დაღლილი ცხვრის გადასაყვანად.

მიუხედავად ამისა, მწყემსებმა მთავარი სიძნელე დაძლიეს. სტანიცა იშჩორსკაიასთან ხიდი მდინარე თერგზე უდანაკარგოდ გაიარა ცხვრის სულადობის დიდმა ნაწილმა. თიანეთის რაიონის კოლმეურნეობის ცხვრებმა მიაღწიეს ჯვრის უღელტეხილს — ტრასის ყველაზე ძნელ უბანს.

11 მანეთი ავანსად შრომადღეზე

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში დაიწყეს ავანსების გაცემა მიმდინარე წლის შრომადღეებზე. სოფელ მამათის კოლმეურნეობაში პირველ აპრილამდე გამომუშავებულ თვითეულ შრომადღეზე ავანსად გასცეს 11 მანეთი. კოლმეურნე ვ. კილაძის ოჯახმა ავანსად მიიღო 2.500 მანეთი.

ავანსები გასცეს აგრეთვე ქვემო აკეთის კაგანოვიჩის სახელობისა და ზემო აკეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„მუშათა საერთო საცხოვრებლებს მეტი ყურადღება"

ამ სათაურით „კომუნისტში" დაბეჭდილ კორესპონდენციაში ჭიათურიდან გ. ნოზაძე წერდა, რომ „ჭიათურმშენის" საერთო საცხოვრებელში მცხოვრები მუშები მოკლებული არიან კომუნალურ მომსახურებას, ბინები არ არის რადიოფიცირებული.

წერილი განიხილა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„ჭიათურმშენის" მუშათა საერთო საცხოვრებლებში არანორმალური მდგომარეობისათვის ბიურომ პარტიული სასჯელი დაადო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების უფროსს კ. ღვალაძეს, კომენდანტი მ. სანაძე და „ჭიათურმშენის" სამმართველოს საერთო საცხოვრებლის კომენდანტი ე. კირკიტაძე მოხსნა სამსახურიდან. „ჭიათურმშენის" უფროსს შ. ცირეკიძეს და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს გ. შანიძეს მიეთითათ.

მტკიცედ დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები

დღითიდღე უფრო ლამაზდება და მშვენდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. სისტემატურად უმჯობესდება ქალაქის მცხოვრებთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. განუხრელად იზრდება საქალაქო ტრანსპორტი.

ამჟამად თბილისის მცხოვრებლებს ემსახურება ტრამვაისა და ტროლეიბუსის ასობით ვაგონი, ავტობუსი. მარტო ტრამვაისა და ტროლეიბუსს ყოველწლიურად გადაჰყავს ორას მილიონზე მეტი მგზავრი. თბილისში მოძრაობს ათასობით მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა. ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობის ასეთი ინტენსიურობა მძღოლებს, ფეხით მოსიარულეებს ავალებს მტკიცედ დაიცვან ქუჩაში მოძრაობის წესები. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი მძღოლები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათთვის მინდობილ საქმეს, არღვევენ მოძრაობის წესებს, მანქანას მართავენ არაფხიზელ მდგომარეობაში, რასაც შედეგად მოსდევს უბედური შემთხვევები, ავარიები.

გასული წლის 19 ოქტომბერს მძღოლი რ. ყორანაშვილი არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა თბილისის ხილეულის წყლების ქარხნის ავტომანქანას. მან ავჭალის გზატკეცილზე განავითარა დაუშვებელი სიჩქარე და მანქანა დაეჯახა შემხვედრ ავტომანქანას, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი.

ზოგჯერ მძღოლები იმუშავებენ ტექნიკურად გაუმართავ მანქანებს, რაც შეუწყნარებელია. მაგალითად, მიმდინარე წლის 12 იანვარს მძღოლმა რ. კიზივაძემ, რომელიც მართავდა ტექნიკურად გაუმართავ მანქანას, განავითარა დიდი სიჩქარე და საბჭოს ქუჩაზე მანქანა დაეჯახა ფეხით მიმავალ მგზავრს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთა უდისციპლინო მძღოლი ანგარიშს არ უწევს მოსახლეობას, მუშა-მოსამსახურეებს და იძლევა ხანგრძლივ სიგნალებს, ზედმეტად ხმაურობს, ხელს უშლის ქალაქის მშრომელებს შრომასა და დასვენებაში.

ქუჩაში მოძრაობის წესებს არღვევენ აგრეთვე ავტომანქანის ინდივიდუალური მფლობელები. ზოგიერთი მათგანი კარგად არ არის დაუფლებული მანქანის მართვას, მიუხედავად ამისა ისინი თავს უფლებას აძლევენ არაფხიზელ მდგომარეობაში მართონ მანქანა, რის შედეგად ავარიები ხდება.

ავტომანქანის მართვა რთული და პასუხსაგები საქმეა. იგი ავალებს მანქანის ინდივიდუალურ მფლობელებს, მძღოლებს სანიმუშოდ იცოდნენ და იცავდნენ მოძრაობის უშიშროების წესებს, იყვნენ დისციპლინირებული, თავდაჭერილი, კულტურული.

არცთუ იშვიათად მოძრაობის წესების დამრღვევებად გვევლინებიან ფეხით მოსიარულენი. ისინი ქუჩაში ყოველთვის არ გადადიან გადასასვლელებზე. ამით საფრთხეს უქმნიან თავიანთ თავს, აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას, ხელს უწყობენ ავტომანქანის სიგნალების ზედმეტად გამოყენებას.

ჯერ კიდევ ირღვევა ტრანსპორტში ჩასხდომისა და გადმოსვლის წესები. უფრო მეტიც. ზოგიერთი მოქალაქეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს „ვაჟკაცობად" მიაჩნია მოძრავ ტრანსპორტზე ახტომა ან ჩამოხტომა, რასაც ხშირად სამწუხარო შედეგი მოსდევს.

ქ. თბილისის მილიციის სამმართველომ უკანასკნელ ხანებში ფეხით მოსიარულეთა და მძღოლთათვის გამოუშვა 8 სხვადასხვა სახის პლაკატი, 14 სააგიტაციო ფურცელი და ბროშურა ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ. ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები ქუჩებში სანიმუშო წესრიგის დასაცავად და მოძრაობის უშიშროების უზრუნველსაყოფად. ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, საჭიროა ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მოძრაობის წესების დამრღვევებს, გავაფართოოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამ მუშაობაში ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მეტი დახმარება გვჭირდება. აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა უნდა განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებს და მოსწავლეებს ქუჩაში წესრიგის დაცვის მნიშვნელობა, გაუწიონ პოპულარიზაცია მოძრაობის წესებს.

შეუწყნარებელია ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა. 1956 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოიტანა მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება იმის შესახებ, რომ მძღოლებს, რომლებიც ტრანსპორტს მართავენ არაფხიზელ მდგომარეობაში, ეკრძალებათ ტრანსპორტის მართვა ერთი წლის ვადით. საჭიროა ამ დადგენილების შინაარსი კარგად გავაცნოთ ყველა მძღოლს, მანქანის ყველა ინდივიდუალურ მფლობელს.

მძღოლებმა, მანქანის ინდივიდუალურმა მფლობელებმა უნდა იცოდნენ, რომ დაუშვებელი სისწრაფის განვითარება, ტექნიკურად უვარგისი ტრანსპორტის ექსპლოატაცია, მართვისა და მოძრაობის წესების უცოდინარობა იწვევს უბედურ შემთხვევებს, ავარიებს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით მიმდინარე წლის 1 ივნისიდან თბილისში, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების მსგავსად, ტრანსპორტი იმოძრავებს ხმოვანი სიგნალების მოუცემლად. ეს საგრძნობლად შეამცირებს ქალაქში ხმაურს, გააუმჯობესებს მშრომელთა შრომისა და დასვენების პირობებს. ამ დადგენილების შესრულება ავტომძღოლებისა და ფეხით მოსიარულეებისაგან მოითხოვს მაქსიმალურ სიფრთხილესა და ყურადღებას ქუჩაში მოძრაობის დროს.

ქუჩაში მოძრაობის უშიშროების წესების მტკიცედ დაცვა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება მთელი საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმეა.

გ. ურჯუმელაშვილი,
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი განყოფილების უფროსის მოადგილე.

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისათვის

ლიტერატურის მუზეუმში

გამოფენის ერთი კუთხე

მთელი ქართველი საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავს. ამ თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გაიზარდა ამ დღეებში ექსკურსანტთა რიცხვი ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, სადაც მოწყობილია XIX საუკუნის ლიტერატურის მუდმივი გამოფენა.

ექსკურსანტთა შორის არიან მოსწავლეები, სტუდენტები, მშრომელები. ისინი ინტერესით ათვალიერებენ სტენდს, რომელზეც ექსპონირებულია დიდი ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები—ავტოგრაფები, ფოტოსურათები, მემორიალური ნივთები და სხვ. საყურადღებო ექსპონატებია განყოფილებებში: „ი. ჭავჭავაძის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები", „ი. ჭავჭავაძე პეტერბურგში ყოფნის დროს", „ი. ჭავჭავაძე — ჟურნალ „საქართველოს მოამბის" რედაქტორი".

ილიას პირადი წერილები და ავტოგრაფები

მრავალი საინტერესო მასალაა დაცული მუზეუმის ფონდში. ეს მასალები შუქს ჰფენენ ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ პერიოდებს. აქ არის ილიას პირადი წერილები მისი დების ელისაბედ საგინაშვილისა და ნინო აფხაზისადმი, აგრეთვე მამიდა მაკრინესადმი, დათარიღებული 1860 წლით. აქვეა ი. ჭავჭავაძის წერილი ილია წინამძღვრიშვილისადმი. ილია მას უგზავნის თავის სტატიას ზუმბერიძის ფსევდონიმით და სთხოვს დაბეჭდვინოს ი. კერესელიძის ჟურნალში. 1858 წ. ს. ტიარლავოდან ნენე დიმიტრის ასულ ჭავჭავაძისა და ანიკო ვაჩნაძისათვის გამოგზავნილ წერილებში ილია უჩივის თავის ხელმოკლეობას, ნატრულობს სამშობლოში, უვარელში ყოფნას.

1885-1907 წლებში ი. ჭავჭავაძე სათავეში ედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ პერიოდის მოღვაწეობას ეხება ილიას პირადი წერილები „ვინმე მესხის" — ი. გვარამაძისადმი.

ილია დიდად იყო დაინტერესებული მესხეთში ქართველ მოღვაწეთა კულტურული საქმიანობით, მესხური ფოლკლორის შეგროვებით, წიგნების გავრცელებით, სკოლების დაარსებით. ამ მიზნით მან კიდევაც გაგზავნა მესხეთში თავისი მეგობარი ა. ყიფშიძე. მუზეუმში დაცულია ილიას წერილები ა. ყიფშიძისადმი. ამ წერილებში იგი აღუთქვამს მატერიალურ დახმარებას, აძლევს რჩევა-დარიგებას სკოლების გახსნის შესახებ. ილიას ამ დროის მოღვაწეობას ეკუთვნის მისდამი ე. ნინოშვილის, ა. ყაზბეგის, დ. ყიფიანის, რ. ერისთავის წერილები, რომლებშიც ისინი ეხებიან სახალხო სახელმძღვანელოების საკითხს, ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგებას და სხვ. აქვეა საპასუხო დადგენილებები, რომლებზეც ხელს აწერს საზოგადოების თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე.

1863 წ. იანვრიდან ილიამ დაიწყო ჟურნალ „საქართველოს მოამბის" გამოცემა. ჟურნალის გარშემო დარაზმული იყვნენ პეტერბურგის ქართველი სტუდენტები და ახლად კურსდამთავრებულნი. ილიას ამ ჟურნალში მოღვაწეობას ეხება მუზეუმში დაცული ივანე პოლტარაცკის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, საიდანაც ირკვევა, თუ რა დიდ ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდნენ ილია და მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები ჟურნალის დაარსებისათვის.

ილიას დავალებით პოლტარაცკი სთხოვს პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებს ითანამშრომლონ ჟურნალში, გამოგზავნონ თხზულებები, განსაკუთრებით პროზული ნაწარმოებები, აცნობებს, რომ ილია დაუღალავად მუშაობს, რათა კარგი ჟურნალი გამოსცეს, უგზავნის ჟურნალის პროგრამასა და გეგმას.

გარდა პირადი წერილებისა, მუზეუმის ფონდში ინახება ილიას ხელით 1858 წელს გადაწერილი ლირიკული ლექსების კრებული, რომელშიც შესულია ლექსები „ჩიტი", „მთვარე", „როდემდის", „გუთნის დედა", „სიმღერა" და სხვები.

მემორიალური ნივთები

მუზეუმში დაცულია ილიას ნაქონი ნივთები — საწერი მაგიდის მოწყობილობა, საფერფლე, რომელსაც იგი ხმარობდა „ივერიაში" მუშაობის დროს, სხვადასხვა ფერის სადაფის ღილებით შემკული მანდოლინა, ჯოხი-სკამი, რომელიც მისთვის დღესასწაულზე უჩუქებიათ. საგურამოელი გლეხების გადმოცემით ილიას ძალიან ჰყვარებია ეს თავისებური მოხერხებული სკამი. ყოველ თავისუფალ დროს მინდორში მიჰქონდა ხოლმე ეს სკამი, ჯდებოდა და ესაუბრებოდა გლეხებს. ინდეგნად საყურადღებო რჩევა-დარიგებას ისმენდნენ მისგან გლეხები, რომ ამ სკამს „ოქროს სკამი" შეარქვეს. მემორიალურ ნივთებს შორის არის პატარა წითელი ფეხი, რომელსაც ილია განუშორებლად ხმარობდა საგურამოში სახლში მუშაობის დროს, ილიას ნაქონი ლამპა, ოქროს საათი, რომელიც სულ ორიოდე წლის წინათ შეიძინა ლიტერატურის მუზეუმმა. საათზე ამოკვეთილია ასოები „ი. ჭ.". როგორც ირკვევა, ეს საათი ილიას თან ჰქონია მოკვლის დროს.

საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად

ლიტერატურის მუზეუმში დიდი მზადებაა ი. ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. აქ ეწყობა სამეცნიერო სესია, რომელზეც წაკითხული იქნება მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: „ი. ჭავჭავაძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", „ი. ჭავჭავაძე ხალხისა და პიროვნების ურთიერთობის შესახებ", „საქართველოს მოამბის" დახურვის მიზეზები", „ი. ჭავჭავაძე სომხურ ლიტერატურაში", „ი. ჭავჭავაძის მიწერ-მოწერა მესხეთ-ჯავახეთის მოღვაწეებთან", დ. კასრაძის მოგონება — „ჭავჭავაძე ჩემს მეხსიერებაში".

მუზეუმში დაცული ფონდების მიხედვით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში მზადდება ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დიდი გამოფენა. ამჟამად მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები ამუშავებენ გამოფენის თემატურ-საექსპოზიციო გეგმას.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: ექსკურსანტები ათვალიერებენ ი. ჭავჭავაძის სტენდს.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

წერილი რედაქციას

საზოგადოებრივი კვების რამდენიმე მოუწესრიგებელი საკითხი

თბილისის საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა უკანასკნელ ხანებში გააუმჯობესეს მუშაობა, მომხმარებელთა მომსახურება — სასადილოები, ბუფეტები, სასაუზმეები, რესტორანები ახალი ინვენტარით შეივსო, ამაღლდა კერძების ხარისხი, ბევრგან თვითმომსახურებაზე გადავიდნენ.

მიუხედავად წარმატებებისა, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში მთელი რიგი მოუწესრიგებელი საკითხებია.

ავიღოთ მომარაგების საკითხი. კარგად არ არის ორგანიზებული საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სურსათ-საქონლის შეზიდვა. თბილისში არსებობს საქონლის შეზიდვის რამდენიმე ორგანიზაცია. ტრესტების ბაზებს შეაქვთ ბოსტნეული და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, მომწოდებელ საწარმოებს — ხორცი, თევზი და მათი პროდუქტები, „სოიუზტორგტრანსის" თბილისის კანტორას — სასმელები, მაკარონი და სხვა საქონელი.

პროდუქტების შემოზიდვის ასეთმა ორგანიზაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მომარაგებაზე. მან გაართულა მუშაობა, შექმნა სიძნელეები ბუღალტერიაში, გამოიწვია სატრანსპორტო თანხების გადახარჯვა, ფონდების აუთვისებლობა, შეუძლებელი გახადა რეგულარული, რიტმული მომარაგება.

მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრების საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სურსათსანოვაგისა და სასმელის შეზიდვა ხდება ცენტრალიზებულად, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმწოდებელ ორგანიზაციას თვითონ შეაქვს ყველა სახის საქონელი. ასეთ დროს იგი უშუალო კავშირშია გამსაღებლებთან და უფრო მეტად გრძნობს პასუხისმგებლობას თავისი პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტისათვის. საჭიროა მოსკოველთა მაგალითისამებრ თბილისშიც შემოღებულ იქნას ცენტრალიზებული, წრიული შემოზიდვის წესი.

მომარაგებას აფერხებს ისიც, რომ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს საკმაო მოცულობის საწყობები არა აქვთ. ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას ზამთრის პერიოდში იქონიონ ბოსტნეულის საკმაო მარაგი. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ უნდა მიიღოს ზომები საწყობებისათვის ნაგებობათა გამოსაყოფად ან ასაგებად.

საჭირო ყურადღება არ ექცევა საზოგადოებრივი კვების ახალი ობიექტების გახსნას, სათანადოდ მოწყობას, მათთვის ადგილის შერჩევას.

საზოგადოებრივი კვების ობიექტების პროექტების შედგენასა და განხილვაში არ მონაწილეობენ საზოგადოებრივი კვების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, არ არის დასაბუთებული ახალი სასადილოების ამა თუ იმ ადგილებში გახსნის ეკონომიური მიზანშეწონილობა. უკანასკნელ ხანებამდე დიდია მისწრაფება სასადილოების ძველებურად, პრიმიტიულად, სარდაფებში გახსნისაკენ, სადაც ერთი მხრივ მომხმარებლები მოკლებული არიან სიამოვნებას და კულტურულ მომსახურებას, ხოლო მეორე მხრივ — თანამშრომლები ნორმალური მუშაობის პირობებს.

ჩვენი აზრით, საჭიროა თბილისში აიგოს საზოგადოებრივი კვების ერთი კულტურული, კომფორტაბელური საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მომხმარებელთა მაღალ მომსახურებას, ისე წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სწორ ორგანიზაციას. ასეთი საწარმოს დაპროექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მომხმარებლებისათვის კეთილმოწყობილი, ფართო და ნათელი დარბაზები, წარმოების ცალკეული საამქროების (როგორიც არის, მაგალითად, ბოსტნეულის, ხორცისა და თევზის დასამუშავებელი, საშაქარლამო, ცივი და ტკბილი კერძების დასამზადებელი, სამზარეულო და სხვა) ისე მოხერხებულად განლაგება, რომ თავიდან იქნას აცილებული თანამშრომელთა ზედმეტი მოძრაობა, უქმად არ იკარგებოდეს დრო. ჩვენს საუკეთესო რესტორანს „თბილისსა" და რესტორანს ფუნიკულიორის პლატოზე სწორედ ასეთი ნაკლი აქვთ — მათი წარმოების ნაწილი დიდი მანძილით არის დაშორებული სასადილო დარბაზს.

კადრების მომზადების ხარისხზე ცუდ გავლენას ახდენს ის, რომ დღემდე თბილისში არა გვაქვს სამზარეულო-ლაბორატორია. სავაჭრო კულინარულ სკოლასთან, რომელიც მზარეულთა მომზადების ძირითადი ბაზაა, უნდა არსებობდეს ასეთი ლაბორატორია. იქ მოსწავლეები ოსტატ-მზარეულის ხელმძღვანელობით უნდა ეუფლებოდნენ კერძების დამზადების ხერხებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ქართულ ენაზე არ არსებობს სახელმძღვანელო ლიტერატურა საზოგადოებრივი კვების შესახებ. მოსწავლეებსა და პრაქტიკოს მუშაკებს საშუალება არა აქვთ მშობლიურ ენაზე წაიკითხონ სპეციალური წიგნები. მართალია, უკანასკნელ წლებში ქართულად გამოიცა ორი დიდტანიანი წიგნი — თ. სულაქველიძის „ადამიანის საჭმელი" და ნ. ხოფერიას „საოჯახო წიგნი", რომლებსაც დიდი სარგებლობა მოაქვთ მოსახლეობისათვის, მაგრამ მათი გამოყენება საზოგადოებრივი კვების საწარმოებში შეუძლებელია. ისინი განკუთვნილია მხოლოდ საოჯახო პირობებისათვის. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები საზოგადოებრივი კვების დარგში გამოსაყენებელი სპეციალური ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემისათვის.

ზ. ტურიაშვილი,
ინჟინერ-ტექნოლოგი.

* * *

რედაქციისაგან. ამხ. ზ. ტურიაშვილი საყურადღებო წინადადებებს აყენებს. რედაქცია მოელის, რომ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელი ორგანოები გამოეხმაურებიან ამ წერილს.

ბიბლიოგრაფია

ბროშურა ხალხთა მეგობრობის შესახებ

ამას წინათ „ტექნიკა და შრომამ" რუსულ ენაზე გამოსცა ვ. ლალიაშვილისა და გ. სტრელცოვის ბროშურა „მეგობრობის ძალა".

ბროშურის ავტორები მკითხველს მოუთხრობენ ამიერკავკასიის სამი ქალაქის — ქუთაისის, კიროვაბადისა და ლენინაკანის საწარმოთა კოლექტივების ძმურ, ურღვევ მეგობრობაზე, მათ შორის სოციალისტურ შეჯიბრებაზე.

ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მოწინავე ადამიანებს — ბ. ნიკოლეიშვილს, ც. კახაძეს, ნ. ბუხაიძეს და მ. კუტივაძეს საქალაქო გაზეთის საშუალებით წერილით მიმართა ქ. ლენინაკანის მაისის აჯანყების სახელობის საფეიქრო კომბინატის მუშამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ევდოკია ლიხაჩოვამ, რომ ჩაბმულიყვნენ მასთან შეჯიბრებაში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. ამხ. ლიხაჩოვას წინადადებას გამოეხმაურნენ არა მარტო მისი ადრესატები, მთელი კომბინატის მუშაკები. მალე ეს შეჯიბრება გადაიზარდა ორი ქალაქის — ლენინაკანისა და ქუთაისის მშრომელთა შეჯიბრებად. შემდეგ ამ შეჯიბრებაში დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ კიროვაბადის საწარმოთა კოლექტივები.

ბროშურაში ვრცლად არის მოთხრობილი, თუ როგორ ანაღდებენ ვალდებულებებს ქუთაისელი, კიროვაბადელი და ლენინაკანელი მუშები, რა დიდი სიყვარულით უზიარებენ ურთიერთს ისინი თავიანთ გამოცდილებას.

გულთბილად არის მოთხრობილი ბროშურაში იმ შეხვედრების, ურთიერთ სტუმრობის შესახებ, რაც ტრადიციად დამკვიდრდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ამ სამი სამრეწველო ცენტრის საწარმოთა კოლექტივების შრომით ცხოვრებაში.

ვ. ლალიაშვილისა და გ. სტრელცოვის ბროშურა „მეგობრობის ძალა" მკითხველს დახმარება კარგად გაეცნოს ქუთაისის, ლენინაკანისა და კიროვაბადის საწარმოთა კოლექტივების შრომით საქმეებს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ზ. მესხიშვილი.

პირველი რესპუბლიკური ავტორგოლა

თბილისელ სპორტის მოყვარულებს არაერთი ავტოასპარეზობა უნახავთ, მაგრამ ეს იყო შეჯიბრება საწვავის ეკონომიისათვის, მოძრაობის წესების სანიმუშო დაცვისათვის, ავტოკოსები და სხვ. რაც შეეხება საგზატკეცილო წრიულ ავტორბოლას, ასეთი სახის შეჯიბრება რესპუბლიკაში პირველად მოეწყო.

ამ ასპარეზობის სანახავად 19 მაისს ვაზიანის მიდამოებში დიდძალი მაყურებელი მოვიდა. შეჯიბრების ტრასის წრეწირი 12,5 კილომეტრს შეადგენდა. ავტომბრძოლებს უნდა გაევლოთ 12 წრე, ანუ 150 კილომეტრი.

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა საგზატკეცილო წრიულ ავტორბოლაში საზეიმოდ გაიხსნა. მოეწყო შეჯიბრებები მონაწილე სპორტსმენ მძღოლთა და მექანიკოსთა პარადი, აღმართეს ალამი.

მძღოლები და მექანიკოსები თავიანთ მანქანებთან განლაგდნენ. მსაჯის ნიშანზე სტარტი მიეცა პირველ ხუთეულს, ერთი წუთის შემდეგ — მეორე ხუთეულს და ა. შ.

„პობედის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანები დისტანციაზე ელვისებური სისწრაფით მიჰქროდნენ, სისწრაფე საათში ზოგჯერ 100-110 კილომეტრს აღწევდა.

გაიარეს პირველი წრე, მეორე, მესამე, მეოთხე. დაწინაურდა მანქანა № 10. ამ მეტოქეობას უწევდნენ მანქანები მე-5 და მე-8 ნომრით. ფინიშის ხაზი პირველად მანქანა ნომერმა ათმა გადაკვეთა. ამ მანქანას მართავდნენ ს. ბარსეგოვი (მძღოლი) და გ. სორხოშიანი (მექანიკოსი), რომლებმაც 150 კილომეტრი გაიარეს 1 საათში, 35 წუთსა და 1 წამში. მეორე ადგილი დაიკავეს ვ. პოლიაკოვმა და ბ. კორობკომ (მანქანა № 5), მესამე — გ. ახვერდოვმა და ა. მაისურაძემ (მანქანა № 3).

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის მსუბუქი ტაქსების ავტოსატრანსპორტო კანტორის მეორე გუნდმა.

გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

* * *

სურათზე: საგზატკეცილო წრიული ავტორბოლის სტარტი. ზევით — შეჯიბრებაში გამარჯვებულები (მარცხნიდან) ს. ბარსეგოვი და გ. სორხოშიანი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ლენინგრადი. 19 მაისი. ადგილობრივი „ზენიტისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

მოხკოვი. 19 მაისი. აქ თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

კიევი. 19 მაისი. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე XIX ჩემპიონატის ლიდერი კიევის „დინამო“ შეხვდა სტალინოს „შახტიორს“. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა კიევის დინამოელთა გამარჯვებით. 2:0.

მინსკი. 19 მაისი. თბილისის დინამოელებმა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების პირველი წრის უკანასკნელის წინა შეხვედრა გამართეს მინსკში ადგილობრივი „სპარტაკის“ წინააღმდეგ.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 1:0. კუთხურიდან მიღებული ბურთი გაიტანა ელოშვილმა. შეჯიბრების მეორე ნახევარში საჯარიმო მოედანზე ჭაუსელი წაქცეულ იქნა. 11-მეტრიანი საჯარიმოთი ბურთი გაიტანა ხასიამ. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 2:0.

კუიბიშევი. 19 მაისი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ კუიბიშოვის „ბურევესტნიკისა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

მოსკოვი. 20 მაისი. მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა შეჯიბრება ფეხბურთში მოსკოვის „ტორპედოსა“ და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის. ასპარეზობის შედეგია 5:3 არმიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის მეათე ტურში ოსტატმა გურფინკელმა დაამარცხა ხაჭაპურიძე. ლოლაშვილმა მოუგო ტომილინას, სტატნიკოვამ — ფანქველაშვილს, ტოგონიძემ — ივანოვას. ბუცხრიკიძისა და ნაჭყებიას პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ბელოზეროვა-გაფრინდაშვილის პარტია არ გათამაშებულა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშების დღეს ბუცხრიკიძემ მოუგო ფანქველაშვილს. ტოგონიძე-სტატნიკოვა ყაიმზე შეთანხმდნენ. კაკაბაძემ მოუგო გოგიავას, ჩაიკოვსკაიამ — როოტაერს.

10 ტურის შემდეგ გურფინკელს აქვს 9,5 ქულა, კაკაბაძეს — 7,5 ქულა, გაფრინდაშვილს — 6,5 ქულა და 1 გადადებული, 1 გამოტოვებული პარტია.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა

ულან-ბატორი, 19 მაისი. (საკუთარი). როგორც დღეს გაზეთი „უნენი“ იუწყება, 18 მაისს გაიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმისა და მმართველობის დელეგაციის გაერთიანებული სხდომა, დელეგაციისა, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალის მეთაურობით სსრ კავშირის მთავრობის მიწვევით იყო საბჭოთა კავშირში. სხდომას დაესწრნენ მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

საბჭოთა კავშირში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ი. ცედენბალმა და დელეგაციის წევრმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის წევრმა დ. დამბამ.

გულთადი მიღება, რაც დელეგაციას საბჭოთა კავშირში გუწევეს, ხაზგასმით აღნიშნა ცედენბალმა, გამოხატავს საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივისცემას მონღოლი ხალხისადმი.

სხდომამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

„მოისმინა და განიხილა რა დელეგაციის მეთაურის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი დ. დამბას მოხსენებანი საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი აღნიშნავენ:

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციებს შორის, რომელიც მიმდინარეობდა განსაკუთრებული გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში, უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მონღოლ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის ისტორიაში.

ამ მოლაპარაკებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყნებს შორის ურღვევი ტრადიციული მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში, მეგობრობისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მონღოლი ხალხის ისტორიული ბედისათვის.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარიატის მხარდაჭერის მეოხებით განთავისუფდა მონღოლი ხალხი კოლონიალიზმისა და ფეოდალიზმის უღლისაგან, შექმნა თავისი სუვერენული სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით, დაადგა რა დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას, დიდი წარმატებები მოიპოვა თავისი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ჩამორჩენილობის დაძლევის საქმეში და ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის — პროლეტარიატის დიქტატურის პირველი სახელმწიფოს ყოველმხრივი და შუდმივი ძმური დახმარება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სოციალიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის არაკაპიტალისტური განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი იყო“.

დადგენილებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ მოლაპარაკებამ, რომელიც გაიმართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მთავრობათა დელეგაციებს, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციებს შორის, კიდევ უფრო განამტკიცა ნამდვილად ძმური ურთიერთობა, რომელიც ორ ქვეყანასა და პარტიას შორის დამყარდა, კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის განმტკიცებაზე და წვლილი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშით, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცების საქმეში.

მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჩვენს ქვეყანას უწევს, ნათქვამია დადგენილებაში, კიდევ უფრო დაიჩქარებს სოციალისტური ძალების განვითარებას და უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას.

„მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. მოწონებულ იქნას მუშაობა, რაც გასწია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო საბჭოთა მთავრობის მიწვევით.

2. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ყველა წევრისა და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სახელით გულითადი მადლობა მიეძღვნას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისადმი უანგარო ძმური დახმარებისა და ჩვენს ხალხზე მუდმივი ზრუნვისათვის“.

სამშობლოში გაემგზავრა ირანის მთავრობის სასაზღვრო საკითხთა დელეგაცია

ორი დღის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა ირანის მთავრობის სასაზღვრო საკითხთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კორპუსის გენერალი, სენატორი ამანოლა ჯაჰანბანი.

დელეგაციის წევრები გაეცნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას. იყვნენ ქალაქ რუსთავში, სადაც დათვალიერეს ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანელ სტუმრებს საუბარი ჰქონდათ პროორექტორთან პროფესორ ს. მ. ელერტთან. სტუმრებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს იმისადმი, თუ როგორ არის დაყენებული სწავლება აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე და მის სპარსული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე.

სენატორმა ამანოლა ჯაჰანბანიმ სურვილი გამოთქვა დამყარდეს კავშირი თეირანისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის. უნივერსიტეტში ყოფნის სამახსოვროდ სტუმრებს მიართვეს ქართულ ენაზე საადის ნაწარმოებნი, ფირდოუსისა და ნიზამის ქმნილებათა გამოცემანი. დელეგაციის წევრები იყვნენ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. მისმა დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა შ. ი. ამირანაშვილმა მათ გააცნო მუზეუმის მხატვრული საგანძური. სტუმრების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია აქ შეგროვებულმა ირანის სადაზო ფერწერის იშვიათმა კოლექციამ.

სტუმრები ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ სპექტაკლ „დაისს“ და საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტს. მათ ინახულეს აგრეთვე უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ა. ქოჩორაძემ სენატორ ამანოლა ჯაჰანბანის, რომელიც სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის ირანის საზოგადოების თავმჯდომარეა, საზოგადოებისათვის საჩუქრად გადასცა ქართველი მწერლების ნაწარმოებნი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუტავამ დარბაზობა გამართა დელეგაციის პატივსაცემად.

20 მაისს ირანის მთავრობის სასაზღვრო საკითხთა დელეგაცია თეირანში გაფრინდა. აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ირანის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია გააცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუტავამ, გენერალ-ლეიტენანტმა ა. ნ. ინაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ნ. ჯანჯღავამ, გენერალ-მაიორმა ს. ა. ბანიძმა, საქართველოს სსრ მინისტრებმა ბ. ა. ჩხეიძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. კ. კელენჯერიძემ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ა. ქოჩორაძემ, ეკონომიკურ საკითხთა მინისტრმა ბ. ბ. ბაბაევმა, ირანის ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა საბერძნეთში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ინდოეთში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ინგლისში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბონში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბერლინში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბელგრადში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ანკარაში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბუქარესტში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბუდაპეშტში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბრიუსელში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბაღდადში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბანგკოკში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბეიროუთში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბერნში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბოგოტაში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბუენოს აირესში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბრაზილიაში ბ. ბ. ბაბაიმ, ირანის ელჩმა ბრიუსელ